



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 173

ქალაქი ქუთაისი 29 მაისი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის  
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №47; №185-№191; №214 პუნქტები.

2. პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №282 – №295 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი- ზებო საფა- სური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
282	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბესიკის ქუჩა N31 (ნაკვეთი N2)-ის მიმდებარედ	54	03.04.23.748	135.0 (1 კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
283	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ	120	03.01.23.760	32.0 (1 კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
284	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუხაიძის ქუჩა N3-ის მიმდებარედ	37	03.04.21.330	135.0 (1 კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
285	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევის N29-ის მიმდებარედ	14	03.06.25.649	100.0 (1 კვ.მ.)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
286	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა- ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	მიწა – 41.0 კვ.მ. შენობა – 19,29 კვ.მ.	03.03.22.054	10 418.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
287	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა- ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N6ა	მიწა – 1047 კვ.მ. შენობა – 213.12 კვ.მ.	03.04.07.414	193 094.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
288	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა- ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, ბუხაიძის ქუჩა N13ა	მიწა – 354,01 კვ.მ. შენობა – 134,56 კვ.მ.	03.04.01.585	54 745.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
289	არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი)	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა N29/წმინდა ნინოს ქუჩა N4	შენობა – 266.27 კვ.მ.	03.03.21.315.01.503	79 881.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
290	შენობა-ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა N6	შენობა – 319,92 კვ.მ.	03.03.01.102.01.502	255 936.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

291	შენობა-ნაგებობა (მანსარდი)	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N5	მიწა – 369 კვ.მ. (თანასაკუთრება) ფართი – 236.7 კვ.მ.	03.03.21.026.01.502	130 185.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
292	შენობა-ნაგებობა (მანსარდი)	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N7	მიწა – 1698 კვ.მ. (თანასაკუთრება) ფართი – 604.30 კვ.მ.	03.03.21.025.01.512	302 150.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
293	შენობა-ნაგებობა (მანსარდი)	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N4	მიწა – 477.0 კვ.მ. (თანასაკუთრება) ფართი – 210,75 კვ.მ.	03.03.21.340.01.507	105 375.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
294	შენობა-ნაგებობა (მანსარდი)	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის მოედანი N2/თამარ მეფის ქუჩა N2/წერეთლის ქუჩა N11	მიწა – 776.0 კვ.მ. (თანასაკუთრება) ფართი – 493,15 კვ.მ.	03.03.21.141.01.542	246 575.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
295	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, გუგუნიას ქუჩა N15-4	მიწა – 1769.0 კვ.მ. შენობა – 3172,40 კვ.მ. (მშენებარე)	03.05.24.847	236 456.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია